ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 14 11 2018 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 436-ს

ქ. თ ბ ი ლ ი ს ი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2018 - 2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში რიგგარეშე მობილობის ვაკანსიების გამოცხადების, აგრეთვე ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-5 მუხლის 1' პუნქტისა და მე-5' მუხლის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2018 წლის 8 ნოემბრის N1008/ი ბრძანების „რიგგარეშე მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის; ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2018 წლის 6 ნოემბრის N26-კ ბრძანების „უნივერსიტეტის რექტორის სერგო ვარდოსანიძის მივლინებაში ყოფნის პერიოდში მოსი დროებით მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ“; უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-19 მუხლის; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის (N1/3215), აგრეთვე ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა (N1/3212) სკოლების დეკანების - ლევან ჯიქიასა და ლევან ქისტაურის 2018 წლის 14 ნოემბრის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ვაკანსიები რიგგარეშე მობილობისთვის 2018 – 2019 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში დანართი N1-ის შესაბამისად:

ა) შპს - საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ უნიჯეოს, შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტისა და შპს - ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის;

ბ) იმ პირთათვის, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს ერთიანი ეროვნული გამოცდები და სსიპ- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული რანჟირების დოკუმენტის შესაბამისად, ჩარცხვის მიზნით ვერ მიმართავენ შპს - საქართველოს

საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ უნიჯეოს, შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტსა და შპს - ევრორეგიონულ სასწავლო უნივერსიტეტს;

გ) იმ მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის, რომლებმაც 2018 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდისა და შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განსაზღვრული გამოცდების შედეგად ჩარიცხვის უფლება მოიპოვეს შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში, შპს - ევრორეგიონულ სასწავლო უნივერსიტეტსა და შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში;

დ) მობილობის მსურველთათვის, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობაში და მობილობის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრირებული პრიორიტეტების მიხედვით ჩარიცხვის უფლება მოიპოვეს შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში, შპს - ევრორეგიონულ სასწავლო უნივერსიტეტსა და შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში, მათ შორის, იმ პირებისთვის, რომელთა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემიდან გასულია თორმეტთვიანი ვადა.

2. განისაზღვროს ვადები 2018 – 2019 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში რიგგარეშე მობილობის პროცესის ადმინისტრირებისთვის დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დადგინდეს მობილობის წესით გადმოსვლის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი N3-ის შესაბამისად.

4. უნივერსიტეტის მიერ რიგგარეშე მობილობისთვის განსაზღვრული ვაკანტური ადგილების აგრეთვე სწავლის საფასურის შესახებ ინფორმაციის ცენტრისთვის წარდგენა მოხდეს არაუგვიანეს 2018 წლის 14 ნოემბრისა.

5. დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

6. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლების დეკანატებს; ენების ცენტრს.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ ვაჩაძე

205233022

2018 - 2019 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში რიგგარეშე მობილობის წესით ჩასარიცხი სტუდენტების ვაკანტური ადგილები

1. **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის:**

   ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე (სწავლის წლიური საფასური - 2250 ლარი):

   ა.ა) სამართალი - 30 ადგილი;

   ა.ბ) საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონალური პროცესები - 20 ადგილი;

   ა.გ) ინგლისური ფილოლოგია - 15 ადგილი

   ბ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე: (სწავლის წლიური საფასური - 2450 ლარი):

   ბ.ა) სამართალი - 10 ადგილი;

2. **ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის: (სწავლის წლიური საფასური - 2250 ლარი):**

   ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

   ა.ა) მენეჯმენტი - 30 ადგილი;

   ა.ბ) ტურიზმის ბიზნესი -15 ადგილი;

   ა.გ) ეკონომიკა - 10 ადგილი;

   ა.დ) კომპიუტერული მეცნიერება - 3 ადგილი;

   ბ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

   ბ.ა) ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი) - 10 ადგილი.

<u>დანართი N2</u>

2018 - 2019 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში რიგგარეშე მობილობის პროცესის ადმინისტრირების ვადები:

ა) მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) - 2018 წლის 15 - 23 ნოემბერი;

ბ) კრედიტების აღიარების კომისიების მუშაობა, დასკვნების მომზადება და მათი მობილობის მსურველთათვის გაცნობა, თანხმობის/უარის წერილების მომზადება - 2018 წლის 19 - 26 ნოემბერი;

გ) სკოლების მიერ ჩასარიცხ პირთა სიების (მოხსენებითი ბარათის სახით), აგრეთვე რიგგარეშე მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადებისათვის საჭირო სხვა დოკუმენტაციის (ქაღალდური და ელექტრონული სახით) წარდგენა - 27 ნოემბერი;

დ) რიგგარეშე მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით ჩარიცხვის ბრძანებისპროექტის მომზადება და ცენტრში წარდგენა - 2018 წლის 29 ნოემბრის ჩათვლით.

მობილობის წესით გადმოსვლის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

1. **მობილობის განხორციელების მსურველი ყველა აპლიკანტისათვის:**

ა) განცხადება და ანკეტა (ივსება ადგილზე);

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა/ პასპორტი) ასლი;

გ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი;

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოწმობის/პასპორტის) ასლი (ვაჟებისთვის);

ე) ორი ფოტოსურათი (3X4) და სურათი CD დისკზე;

ვ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების შემთხვევაში - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

2. **ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების - შპს - საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ უნიჯეოს, შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტისა და შპს - ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ამ დანართის პირველ პუნქტში მითითებულის გარდა, დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტები:**

ა) სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის (ჩარიცხვის ბრძანება, სტატუსის შეჩერება, აღდგენა და სხვ.) ასლი ან მისი ამონაწერი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული); მაგისტრანტებისათვის - ინფორმაცია საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარებული ტესტის ტიპის შესახებ;

ბ) სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი ან მისი ამონაწერი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული);

გ) სახელმწიფო/სოციალური გრანტის მქონე სტუდენტებმა ცენტრის მიერ გაცემული ცნობა გრანტის გადმოტანის შესაძლებლობის, ოდენობის (ლარში) და დაფინანსების პერიოდის მითითებით.

3. **იმ პირთათვის, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს ერთიანი ეროვნული გამოცდები და სსიპ- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული რანჟირების დოკუმენტის შესაბამისად, ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართავენ შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და შპს ევროპის უნივერსიტეტს, დანართის პირველ პუნქტში მითითებულის გარდა, დამატებით:**

ა) სწავლის სემესტრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

ბ) არასრულწლოვანის შემთხვევაში - სანოტარო წესით დამოწმებული დაბადების მოწმობის ასლის წარმოდგენა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხლება, ამ უკანასკნელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტითურთ.

4. **იმ მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის, რომლებმაც 2018 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდისა და შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განსაზღვრული გამოცდების შედეგად ჩარიცხვის უფლება მოიპოვეს შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში, შპს - ევროპეგიონულ სასწავლო უნივერსიტეტსა და შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში:**

ა) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის ნოტარიალურად დამოწმებული ასლი, (2018 წლის კურსდამთავრებულებისთვის დასაშვებია ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე);

ბ) ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარების/შეფასების თაობაზე

გ) უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) შესაბამის დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო მოწმობის/სერტიფიკატის ასლი (არსებობის შემთხვევაში).

(უნივერსიტეტის საბანკო რეკვიზიტებია: თიბისი ბანკი, ბანკის კოდი: TBCBGE22, ანგარიშის ნომერი: GE76 TB74 8803 6020 1000 02.